



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა
მ ი ნ ი ს ტ რ ი



KA100127891745315

თბილისი

09 / იანვარი / 2015 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01/70

„საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გაცემისა და პროაქტიულად
გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 19 სექტემბრის
N01/669 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გაცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 19 სექტემბრის N01/669 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე (მატერიალური და ელექტრონული ფორმით) ზედამხედველობა დაევალოს სამინისტროს აპარატის მთავარ სპეციალისტს ნატო უდესიანს (მისი არყოფნის (მივლინება, შვებულება) შემთხვევაში, შესაბამისი ბრძანებით მის შემცვლელად განსაზღვრული პირს)“;

ბ) ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე მომზადებულ კორესპოდენციზე ხელისმომწერ პირად განისაზღვროს სამინისტროს აპარატის უფროსი ირინე გულიაშვილი (ირინე გულიაშვილის არყოფნის შემთხვევაში - აპარატის უფროსის მიადგილე ნინო თოფურია, ირინე გულიაშვილისა და ნინო თოფურიას არყოფნის შემთხვევაში - სამინისტროს აპარატის მთავარი სპეციალისტი ნატო უდესიანი)“.

2. ბრძანება ძალაშია 2015 წლის 1 იანვრიდან.

მინისტრი

A handwritten signature in blue ink, consisting of a stylized, cursive script that is difficult to decipher. It appears to be a personal name or a specific title.

ლევან ყიფიანი